

კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის უსაფრთხოების წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის“ (შემდგომში – კოლეჯი) უსაფრთხოების წესი (შემდგომში - წესი), განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯი აფორმებს სპეციალურ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც, უზრუნველყოფილია:
 - ა. კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვა;
 - ბ. სახანძრო უსაფრთხოება;
 - გ. კოლეჯის შენობა-ნაგებობაში უნარშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება გადაადგილების დროს (საჭიროების შემთხვევაში);
2. გაფორმებული ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს ინსპექტირებას ვიდეო კამერების ქსელის გამოყენებით.

მუხლი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.
2. კოლეჯი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით.
3. საგანგებო ვითარების დროს, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექცია უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ.).

მუხლი 4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

1. კოლეჯში არსებობს სამედიცინო დახმარების კუთხე, სადაც განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები. საჭიროების შემთხვევაში ექიმი გაუწევს სამედიცინო დახმარებას.
2. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს ექიმს, გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება.
3. კოლეჯი იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

1. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს აქვს უფლება საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელოს ისეთი ქმედება უსაფრთხოების დასაცავად, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული.

2.ამ წესსა და მასში შესატან ცვლილებებს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.